

ურთიერთშეთანხმების აქტი N3

ქ. თბილისი

26 ივნისი 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის, ნინო თანდილაშვილის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „ალმანიკო“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, რობერტ ბოკოვის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე: მხარეთა შორის 2018 წლის 09 მარტს გაფორმებული NT-030901 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.4 პუნქტის საფუძველზე შევიდეს მასში შემდეგი სახის ცვლილება:

1. ხელშეკრულების მე-6 მუხლს დაემატოს 6.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „6.3. ხელშეკრულების 6.2. პუნქტით გამსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ყოველთვიური მომსახურების კონტროლის მიზნით იხელმძღვანელოს ხელშეკრულების პირობებითა და სააგენტოს უფროსის „სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო“ ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების რეცხვის მომსახურების ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ ბრძანებით“.
2. ხელშეკრულების მე-7 მუხლს 7.3 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „7.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ პირს წარმოადგენს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი, რომელიც იხელმძღვანელებს ხელშეკრულების პირობებითა და „სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო“ ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების რეცხვის მომსახურების ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ ბრძანებით“.
3. ხელშეკრულების დანართი N1-ის დაემატოს 1 ერთეული ავტომანქანა ტოიოტა ჰაილუქსი, სახ.ნომრით GN-042-EA.

N	ავტომანქანის მარკა	ავტომანქანის მოდელი	ავტომანქანის სახ. ნომერი	ავტომანქანის რაოდენობა (ერთეული)	გამოშვების წელი	ავტომანქანის ტიპი ანუ სახეობა	ავტომანქანის ადგილმდებარეობა
1	TOYOTA	HILUX	GN-042-EA	1	2010	ჯიპი	ქ.თბილისი

4. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შედის 2018 წლის 26 ივნისიდან;
5. შეთანხმება შედგენილია 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 (ორი) ეგზემპლარი შემსყიდველს;
6. შეთანხმება წარმოადგენს NT-030901 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

საფუძველი: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ ეკონომიკური სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის 2018 წლის 25 ივნისის N3404/01 სამსახურებრივი ბარათი.

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“


ნინო თანდილაშვილი
სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი



მიმწოდებელი:
შპს „ალმანიკო“


რობერტ ბოკოვი
დირექტორი



შეთანხმებულია:












